

საბანკო სექტორი


სესხები ნაკადების მიხედვით

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებდა 12 კომერციული ბანკი (15 ფილიალი / 62 სერვის ცენტრი / 1 662 დასაქმებული), რომელთა მიერ 2021 წლის განმავლობაში გაცემული სესხების მოცულობამ შეადგინა 2.6 მლრდ ლარი, ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში იყო 41%. გაცემული სესხების 84%-ს გრძელვადიანი სესხები წარმოადგენდა.


გაცემული სესხები (აჭარის ა.რ.)

მლნ ლარი	2017	2018	2019	2020	2021
სესხები (ნაკადები)	2 537.0	2 311.4	2 462.1	1 859.8	2 630.9
მოკლევადიანი სესხები	484.6	508.6	408.7	365.7	423.1
ეროვნული ვალუტით	354.5	381.3	307.3	272.2	286.5
უცხოური ვალუტით	130.1	127.3	101.4	93.5	136.6
გრძელვადიანი სესხები	2 052.4	1 802.8	2 053.4	1 494.0	2 207.8
ეროვნული ვალუტით	867.0	776.3	962.8	731.4	1 125.5
უცხოური ვალუტით	1 185.4	1 026.5	1 090.6	762.6	1 082.3


ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები (აჭარის ა.რ.)





სესხები ვადის მიხედვით (აჭარის ა.რ.)



სესხები ვალუტათა სახეობების მიხედვით (აჭარის ა.რ.)




რეგიონში კომერციული ბანკების მიერ 2021 წელს იურიდიულ პირებზე გაცემულმა სესხებმა შეადგინა 907.6 მლნ ლარი. სექტორულ დაკრედიტებაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩევა ვაჭრობა (35%). ფიზიკურ პირებზე გაცემულმა სესხებმა შინამეურნეობების მიხედვით შეადგინა 1 723.2 მლნ ლარი, რომელშიც უდიდესი წილი უჭირავს სამომხმარებლო სესხებს (44%).




დეპოზიტები ნაშთების მიხედვით

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულ იქნა 2.0 მლრდ ლარის დეპოზიტები (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში - 21%), რომელშიც უცხოური ვალუტით დენომინირებულმა დეპოზიტებმა შეადგინა 70%. მოზიდული დეპოზიტების 18% წარმოდგენილია არარეზიდენტი პირებისგან.

მოზიდული დეპოზიტების დინამიკა (აჭარის ა.რ.)




მოზიდული დეპოზიტები სუბიექტების მიხედვით (აჭარის ა.რ.)




ფულადი გზავნილები

2021 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა ჩარიცხვების მიხედვით შეადგინა 653.9 მლნ აშშ დოლარი, მათ შორის საშუალო ბანკების მიხედვით უცხოეთის ქვეყნებიდან ჩარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობამ შეადგინა 539.9 მლნ აშშ დოლარი, ელექტრონული ანგარიშსწორების მიხედვით ჩარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობამ კი - 114.0 მლნ აშშ დოლარი.


ფულადი გზავნილების დინამიკა ჩარიცხვების მიხედვით (აჭარის ა.რ.)



საშუალო ბანკების მიერ უცხოეთის ქვეყნებიდან ჩარიცხული ფულადი გზავნილები (აჭარის ა.რ.)



2021 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა გადარიცხვების მიხედვით შეადგინა 530.3 მლნ აშშ დოლარი, მათ შორის საშუამავლო ბანკების მიხედვით უცხოეთში გადარიცხვების მოცულობა იყო 491.7 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ელექტრონული ანგარიშსწორების მიხედვით გადარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა კი - 38.6 მლნ აშშ დოლარი.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.